სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: თურქოლოგია / Turkology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი მარიკა ჯიქია

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მხარეთმცოდნე სპეციალისტი თურქოლოგიაში. ამ მიზნით დოქტორანტს პროგრამის ფარგლებში მიეცემა საფუძვლიანი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება, როგორც ზოგადად თურქოლოგიის, ისე კერძოდ თურქული ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიისა და ოსმანისტიკის სფეროში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თურქულოგიის კვლევის შემდეგი თემატიკა:

- თურქიზმები მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში (პერიოდების მიხედვით);
- თურქიზმები ძველ ლექსიკონებში (მაგ. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში შემდგენლის შეხედულებისამებრ ოსმალურად და თათრულად კვალიფიცირებული სიტყვები);
- თურქიზმები მეგრულსა და სვანურ ენებში;
- თურქიზმები ქართველურ ენათა დიალექტებში;
- თურქული წარმომავლობის სამედიცინო ტერმინების, დაავადებათა სახელწოდებების, ბუნებრივ სამკურნალო საშუალებათა (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) გამოვლენა ქართული სამედიცინო შინაარსის ლიტერატურაში და სხვ. ასევე საშურია მეზობელ თურქულენოვან ხალხთა ლექსიკურ ფონდებში ქართველიზმების მოძიება:
- ქართველიზმები ანატოლიური თურქულის აღმოსავლურსა და ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში;
- ქართველიზმები აზერბაიჯანულის დიალექტებში;
- ქართველიზმები ყარაჩაულ-ბალყარულსა და ყუმუხურში) და არეალური ტიპოლოგია; ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები და სხვ.
- აზერბაიჯანული და თურქული ფოლკლორული მასალების თანაკვეთა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში (ქოროღლის ეპოსი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდისეული დესტანების კვლევა), ოღუზნამე, დედე ქორქუთის ჰექიათების ანალიზი, თურქული ლიტერატურის პირველი წარმომადგენლის (ჯელალედინ რუმი თუ მეჰმედ იესევი) იდენტიფიკაციის საკითხი, დივანის ლიტერატურა, თანზიმათის პერიოდის ლიტერატურა, ახალი და უახლესი თურქული
- ლიტერატურის წარმომადგენლების შემოქმედებათა შესწავლა პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის შუქზე, გენდერის პრობლემატიკა თურქულ ლიტერატურაში და სხვ.

ბ) პროგრამის შედეგი
ცოდნა და გაცნობიერება

დოქტორანს ეცოდინება თურქული ფოლკლორი, ლიტერატურა, ფრაზეოლოგია, გრამატიკის საკითხები, ქართულ-აზერბაიჯანული, გაერკვევა ქართულ-თურქულ ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობებში, ეცოდინება აზერბაიჯანულისა და ანატოლიური თურქულის აღმოსავლური და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტები, ოსმალური დიპლომატიკა და პალეოგრაფია, ოსმალეთისა და თურქეთის ისტორია, საქართველო-თურქეთის (თურქ-სელჯუკების სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია, თანამედროვე თურქეთი) ურთიერთობათა საკითხები და სხვ.

პრაქტიკაში მისი გამოყენება:
დოქტორანტი შესძლებს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოქმედებითი განვითარებას; შესძლებს თურქოლოგიის ძირითად საკვლევ პრობლემატიკაში კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებას.
ზოგადი და ტრანსფერული უნდარები
შეეძლება არა მხოლოდ დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული იყოს საკუთარი სწავლისა და მუშაობის პროცესში, არამედ ხელი შეუწყოს სხვებსაც სწავლებისას, ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა და იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება რთული და მოულოდნელი სიტუაციები, გამოიჩინოს ავტონომიური ინიციატივა.

გ) დასაქმების სფეროები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში: კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მუზეუმებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში (ფილოლოგიაში და ისტორიაში).
- თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომლებსაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამის თემატიკაზე, სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის, სტუდენტთა) სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი წარმოდგენილი უნდა იყოს სხვა საბუთებთან ერთად);
- სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის სავალდებულო;
- უცხო ენის ცოდნა B-2 დონეზე. შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა.

სასწავლო კომპონენტი

- საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები - 10
- დოქტორანტურის კოლოკვიუმი (2) - 10
- საუნივერსიტეტო ასარჩევი კურსები - 25
- პროფესორის ასისტენტობა - 15

სულ 60 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
თსუ-ს V კორპუსში 104 და 105 აუდიტორიები (თურქოლოგიის კაბინეტი), 2 კომპიუტერი (ინტერნეტით), ბიბლიოთეკა.

მიუთითეთ, რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე
2 დოქტორანტი.
პროგრამაში ჩართული პროფესორი: სრული პროფესორი მარიკა ჯიქია